# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

## სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და

## სსიპ აჭარის მუზეუმს შორის

ქ. ბათუმი

25 აპრილი, 2023 წელი

პრეამბულა

ერთი მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, თეიმურაზ კეჟერაძის მიერ და მეორე მხრივ, სსიპ აჭარის მუზეუმი (შემდგომში „მუზეუმი“), წარმოდგენილი დირექტორის, თეონა ზოიძის მიერ, ორივე ერთად „მხარეებად“ წოდებული, აღიარებენ რა ორმხრივ ინტერესს, უმაღლესი განათლების ხელშეწყობის, სწავლებისა და პრაქტიკის ინტეგრირების, ერთობლივი ღონისძიებებისა და კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობის, სამეცნიერო კვლევებისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას;
- სტუდენტების ჩართულობას პროექტებში, ტრენინგებში, სასწავლო პროგრამებში, საჯარო ლექციებში;
- გამოცდილების გაზიარებას და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას;
- სტუდენტთა პროფესიულ პრაქტიკას;
- ერთობლივი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
- ერთობლივი ღონისძიებებისა და ერთობლივი კვლევების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას.

**მუხლი 1**

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. მხარეები ერთმანეთს გაუწევენ კონსულტაციებს, განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებს, მოამზადებენ ერთობლივ სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, მასტერკლასებს, ტრენინგებს, საჯარო ლექციებს, სემინარებს და სხვადასხვა სახის ერთჯერად პროექტებს.

1.3. მხარეები უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის სამეცნიერო, შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას.

1.4. უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ მუზეუმის მიერ ორგანიზებულ გამოფენებში, პრეზენტაციებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში.

1.5. უნივერსიტეტის სტუდენტებს და ახალგაზრდა მკვლევარებს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მიეცემათ საშუალება სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის აქტიურად გამოიყენონ მუზეუმში არსებული მატერიალური და ინტელექტუალური რესურსი.

1.6. მუზეუმს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მიეცემა საშუალება უნივერსიტეტის ბაზაზე ჩაატაროს ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებები და სამეცნიერო კვლევები (მათ შორის კვლევის დაკვეთა), გამოიყენოს უნივერსიტეტში არსებული სივრცეები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინტელექტუალური რესურსი.

1.7. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.8. მუზეუმი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

1.9. უნივერსიტეტი პრაქტიკის დაგეგმვის დროს გაითვალისწინებს:

ა) პრაქტიკის ობიექტში სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა არაუმეტეს 15 სტუდენტისა ერთი სემესტრის განმავლობაში;

ბ) პრაქტიკის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო კურსით დადგენილ ვადას;

გ) პრაქტიკის მიზანია სასწავლო პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება, ახალი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

დ) პრაქტიკის კონკრეტული ვადები განისაზღვრება მხარეებს შორის მოლაპარაკებით უნივერსიტეტის შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

1.10. მუზეუმი თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების პროცესში.

**მუხლი 2**

2.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს.

**მუხლი 3**

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

3.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

თ. კეჟერაძე

მის.: ბათუმი 6000, ზ.გორგილაძის/ ვაჟა-ფშაველას №19/32
საიდენტიფიკაციო კოდი:245628496
ტელ.: +995 551 21 75 77
ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

სსიპ აჭარის მუზეუმი
დირექტორი

თ. ზოიძე

მის.: ბათუმი, ხ. ახვლედიანის № 4
საიდენტიფიკაციო კოდი: 245769271
ტელ.: +995 577 54 10 30
ელ.ფოსტა: info@ajaramuseums.ge
ვებ.გვ. ajaramuseums.ge